ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკა

სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკა / Economics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი / MSc in Economics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი
პროგრამის კოორდინატორი: პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი
ხელმძღვანელები: პროფ. იური ანანიაშვილი (მოდული:ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა), პროფ. სიმონ გელაშვილი (მოდული: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა), პროფ. რევაზ გველესიანი (მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია), პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი და პროფ. თ. ბერიძე (მოდული: თეორიული ეკონომიკა), პროფ. ავთანდილ სილაგაძე (მოდული: ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია; მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა); პროფ. ნოდარ ხადური (მოდული: მაკროეკონომიკა), პროფ. ეთერ ხარაიშვილი (მოდული: ბიზნესის ეკონომიკა).

სამაგისტრო პროგრამის მიზანი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ეკონომიკაში ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც:

აქვთ ფუნდამენტური ცოდნა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის – მიკროეკონომიქსის, მაკროეკონომიქსის და ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური თეორიის, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის – მეთოდოლოგიისა და სისტემური ანალიზის სფეროებში; აქვთ სისტემური ცოდნა ეკონომიკის ისტორიული განვითარების ტენდენციების და მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური დოქტრინების შესახებ; გააჩნიათ სიღრმისეული და სისტემური ცოდნა სხვადასხვა თანამედროვე ეკონომიკური მიმართულების (სკოლის) შესახებ, შეუძლიათ მათი შედარებითი ანალიზი და ეკონომიკის განვითარების თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობის დადგენა; შეუძლიათ რაციონალური სოციალურ–ეკონომიკური მოდელების განსაზღვრა სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის პირობებში; ფლობენ გაღრმავებულ ცოდნას ტრანსფორმაციული პროცესების რეგულირების, მეთოდოლოგიური და ინსტიტუციონალური საფუძვლების შესახებ, ეროვნული ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და პროგნოზირების დარგში; სისტემურად აცნობიერებენ შრომის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ლოკალურ და ინტერნაციონალიზებულ ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს, საოჯახო მეურნეობებზე, ფირმებსა და კორპორაციებზე ზემოქმედ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებს; გაცნობიერებული და გათავისებული აქვთ ეკონომიკის ისტორიის ფუძემდებლური პრინციპები, ეკონომიკური დოქტრინები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები, მიზნები, ამოცანები და ინსტრუმენტები; ნათლად აცნობიერებენ ინტერდისციპლინური მიდგომის როლს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში; დაუფლებულნი არიან საფუძვლიან ცოდნას ეკონომიკურ განვითარებაზე პოლიტიკური პროცესების გავლენის, პოლიტიკურ–ეკონომიკური ციკლების თავისებურებების, მოდერნიზაციისა და რეფორმების პოლიტეკონომიკური წინააღმდეგობების, განაწილება–გადანაწილების კანონზომიერებების შესახებ; დაუფლებულნი არიან ცოდნას მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე უახლესი მოვლენების, პროცესების, ტენდენციების, განსაკუთრებით კი მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის, ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებზე მისი ზემოქმედების მიმართულებების შესახებ; ფლობენ საფუძვლიან ცოდნას საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული მაჩვენებლების გამოთვლისა და ანალიზის მეთოდოლოგიასა და მეთოდიკაში, ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელებისა და განსაკუთრებით ფინანსური ეკონომეტრიკის, როგორც თანამედროვე ეკონომეტრიკის ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ნაწილის შესახებ;

გააჩნიათ ეკონომიკური დოქტრინების, ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა მოდელის, მიკრო–, მაკრო– და გლობალურ დონეებზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და ჩამოყალიბებული კანონზომიერებების, განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერების, სინთეზისა და განმაზოგადებელი დასკვნების, მეცნიერულ საფუძველზე პროგნოზების გაკეთების უნარი კვლევის პროცესში თანამედროვე რაოდენობრივი (სტატისტიკური) და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების საფუძველზე;

შეუძლიათ კვლევის შედეგად მიღებული საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების საჯარო პრეზენტაცია, მათი მკაფიო, დამაჯერებელი და ლოგიკური დასაბუთება როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის;

გააჩნიათ გაღრმავებული, სპეციალიზებული ცოდნა და კომპეტენციები შესაბამის მოდულებში (თეორიული ეკონომიკა, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია, საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა, ბიზნესის ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა), როგორც ტრადიციული და თანამედროვე სწავლების კანონზომიერი შედეგი;

აქვთ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, რომელიც იძლევა სწავლების მომდევნო საფეხურზე – დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – საერთო სამაგისტრო გამოცდა (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა) და მისაღები გამოცდა ეკონომიკის პრინციპებში.

სწავლის შედეგები:

1. ცოდნა და გაცნობიერება

1.1. ზოგადი კომპეტენცია:

- აქვს ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;
- აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

1.2. დარგობრივი კომპეტენცია:

- აქვს ფუნდამენტური ცოდნა ეკონომიკის სფეროში მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეებზე;
- აქვს გაღრმავებული ცოდნა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის სფეროებში;
- აქვს გაღრმავებული ცოდნა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ადამიანთა ქცევაზე გავლენის სხვადასხვა მიმართულების შესახებ;

- საფუძვლიანად არის დაუფლებული ტრანსაქციური ხარჯების თავისებურებებისა და მათი მინიმიზაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების თეორიას;
- ფლობს საფუძვლიან ცოდნას არალეგალური ბაზრის, როგორც ინსტიტუციური სისტემის სპეციფიკური ელემენტის ფუნქციონირების თავისებურებებისა და ტრანსფორმაციულ ეკონომიკაში არალეგალური საქმიანობის არჩევის ეკონომიკური მოტივების შესახებ;
- აქვს სისტემური ცოდნა სახელმწიფოს ინსტიტუტების ეკონომიკური ფუნქციებისა და ტრანსფორმაციულ პროცესებში მათი რეალიზების მიმართულებების შესახებ;
- ფლობს ცოდნას ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების და მოხმარების, აგრეთვე დანაზოგების, ინვესტიციების, სავალუტო კურსის, საგადასახდელო ბალანსის, აგრეთვე, მათზე მოქმედი ფაქტორების შესახებ;
- აქვს ცოდნა შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე შინამეურნეობის, ფირმის და სახელმწიფოს ქცევაზე მოქმედი ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების შესახებ და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას;
- აქვს ცოდნა საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებების, ეროვნული და გლობალური ეკონომიკური პრობლემების, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და მისი ინსტრუმენტების შესახებ;
- ფლობს ცოდნას ეკონომიკაში თანამედროვე რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების შესახებ;
- ზოგად კომპეტენციასთან ერთად, გააჩნია სპეციალური ცოდნა და კომპეტენციები, რომლებსაც მიიღებს შესაბამის მოდულებში სწავლისას;
- აქვს ცოდნა შემოსავლების განაწილებისა და სიღარიბის დონის კრიტერიუმების შესახებ;
- მიღებული ეკონომეტრიკული ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს მონაცემების დამუშავებიდან მიღებული შესაძლო გამოთვლების ორაზროვნებას;
- აქვს ცოდნა, რომელიც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების ან/და დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

2.1. ზოგადი კომპეტენცია:

- თავისუფლად ორიენტირდება ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში;
- შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, გადაჭრის გზების მოძიება, ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადასაჭრელად (მათ შორის ახალი, ორიგინალური გზების პოვნა კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად);

- შესწევთ ეკონომიკურ თეორიაში ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- შეუძლია ჯგუფის წევრებს შორის დაგეგმილ ვადებში შესასრულებელი სამუშაოს განაწილება;
- დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

2.2. დარგობრივი კომპეტენცია:

- გააჩნია ბაზარზე შინამეურნეობის, ფირმის, სახელმწიფოს ქცევის, ბაზრების ფუნქციონირების, ეროვნული და გლობალური ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერების და მათი გამოყენების უნარი; დაუფლებულია მეთოდებს, ინსტრუმენტებს და მექანიზმებს, რომელთა გამოყენებით შეუძლია ზემოქმედების მოხდენა ცალკეული ინდივიდების, ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების ეკონომიკური ქცევის ფორმირებასა და განვითარებაზე;
- შეუძლია ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზის პროცესში სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენება;
- აქვს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების დამოუკიდებლად კვლევის უნარი;
- აქვს სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულებების შეფასების უნარი;
- გააჩნია რესურსების განაწილებაზე, სოციალური თანასწორობისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენის ინსტრუმენტების შემუშავების უნარი;
- ახდენს ეკონომიკური მონაცემების თავმოყრას, ფორმირებას, ანალიზს და ინტერპრეტრაციას;
- შეუძლია სტატისტიკურ მონაცემთა მონიტორინგი;
- სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს;
- როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდის შემადგენლობაში ახორციელებს კვლევას, მონაცემთა მონიტორინგს, ინფორმაციის ანალიზს, ამზადებს ანგარიშს და გეგმას ეკონომიკური და ბიზნესპრობლემების გადასაწყვეტად;
- დამოუკიდებლად იყენებს და ავითარებს მოდელებს ეკონომიკური ქცევის ანალიზის, ახსნისა და პროგნოზირების პროცესში;
- აყალიბებს პროფესიონალურ რჩევებს ხელისუფლების, ბიზნესის და დაინტერესებული ჯგუფებისთვის, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმდინარე და მომავალი პრობლემების გადაწყვეტის შესახებ;
- შეუძლია ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირება;
- აფასებს ცვალებად ეკონომიკურ გარემოში მოკლე– და გრძელვადიანი დაგეგმვის და ინვესტიციების ეფექტიანობას;
- შეუძლია წარმოებისა და მოხმარების პროგნოზირება;
- ეკონომიკურ მონაცემთა ანალიზის ბაზაზე შეუძლია რჩევების შემუშავება მონეტარული, ფისკალური და სტრუქტურული პოლიტიკის შესახებ;

- გააჩნია ეკონომიკური პრობლემების ანალიტიკური კვლევისა და ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების უნარ–ჩვევები;
- მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით ამოწმებს ეკონომიკურ თეორიებს;
- გაიაზრებს და იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს;
- შეუძლია გამოიკვლიოს კომპანიების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- შეუძლია ეკონომიკური ცოდნის ბაზაზე პოლიტიკისა და სხვა ეგზოგენური მოვლენების ეფექტების შეფასება;
- შეუძლია შეაფასოს ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა;
- სიღარიბის განსაზღვრის კრიტერიუმების გამოყენებით შეუძლია შეაფასოს სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო, სახელმწიფო და სხვა ღონისძიებები;
- შეუძლია სამეცნიერო ნაშრომებისა და ანგარიშების მომზადება.

3. დასკვნის უნარი

3.1. ზოგადი კომპეტენცია:

- აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
- შეუძლია საკუთარი დასკვნების შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მკაფიო დასაბუთება, როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის;
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახორციელებს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს;
- აანალიზებს მონაცემებს და სიტუაციებს სტანდარტული და სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით;
- ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს.

3.2. დარგობრივი კომპეტენცია:

- შეუძლია გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი და მათი შესაძლო გავლენის განსაზღვრა შინამეურნეობის, ფირმის და სახელმწიფოს საქმიანობაზე;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების შეფასების საფუძველზე შეუძლია რჩევების მიცემა ეკონომიკური პოლიტიკისა და მოქმედების მიზანშეწონილი კურსის შესახებ;
- შეუძლია ლოკალურ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, გაყიდვების, ფასების, ბაზრის პოტენციალის და სამომავლო ტენდენციების შეფასებისა და ბიზნესსტრატეგიების განვითარებისთვის;
- შეუძლია ეკონომიკაში სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების და ანგარიშების მომზადება.

4. კომუნიკაციის უნარი

4.1. ზოგადი კომპეტენცია:

- ახდენს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების წარდგენას ფართო საზოგადოების წინაშე (აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით);
- შეუძლია კვლევის პროცესში საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

4.2. დარგობრივი კომპეტენცია:

- შეუძლია ეკონომიკაში სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების და ანგარიშების პრეზენტაცია;
- ახდენს ეკონომიკური კვლევის შედეგების (დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების) წარდგენას აკადემიური და პროფესიული წრეების წინაშე (აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით), მ.შ. საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

5. სწავლის უნარი

5.1. ზოგადი კომპეტენცია:

- აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს;
- გეგმავს სწავლის პროცესს.

5.2. დარგობრივი კომპეტენცია:

- კრიტიკულად ითვისებს ეკონომიკურ თეორიებს, კონცეფციებს და მოდელებს;
- ახდენს ალტერნატიული მიდგომების რანგირებას და იყენებს მოდელირების მეთოდს კვლევის დასაბუთების მიზნით;
- ეკონომიკური პრობლემების ანალიზისა და მოდელირებისას იყენებს ალტერნატიულ მიდგომებს, შეზღუდვებს და შესაძლებლობებს;
- მიღებული ცოდნის ბაზაზე შეუძლია დაგეგმოს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის და კვლევის გაგრძელება.

6. ღირებულებები

6.1. ზოგადი კომპეტენცია:

- აფასებს ღირებულებებისადმი პირად და სხვების დამოკიდებულებას;
- შეაქვს წვლილი ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

6.2. დარგობრივი კომპეტენცია:

- ეკონომიკური ცოდნის ბაზაზე ჩამოყალიბებული ხედვით შეაქვს წვლილი ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში;

- ეკონომიკური საკითხების განხილვისას აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი;
- მიღებული ცოდნის ბაზაზე, როგორც მოქალაქე, მონაწილეობს სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაში;
- აქვს გარემოს დაცვის პრინციპების ცოდნა და შეუძლია შეაფასოს ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენა სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე;
- აქვს შესასრულებელი სამუშაოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- იცის, რას მიანიჭოს უპირატესობა, როგორც პროფესიონალმა, სამუშაოს მოძიებისას;
- დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
- შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეუძლია ეკონომიკური სუბიექტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობისა და სამართლიანობის შეფასება;
- შეუძლია განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების მაღალი ხარისხის როლი დასახულ მიზანთა სისტემაში;
- შეუძლია შეაფასოს სტაბილური და ზრდადი ეკონომიკის მნიშვნელობა საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის;
- აქვს ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ქვეყნის ეკონომიკასა და მისი სუბიექტების ცხოვრებაზე საერთაშორისო ვითარების გავლენის შესახებ;
- აქვს შეხედულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე;
- აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთმიმართების შესახებ;
- შეუძლია ეთიკური ნორმების დაკავშირება როგორც ცალკეული ფირმებისა და შინამეურნეობების, ისე ერთიანი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება–განვითარებასთან;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს განსხვავებული კულტურული ღირებულებების ზემოქმედება ეკონომიკურ განვითარებაზე;
- აქვს გარკვეული ხედვა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის სოციალური და პოლიტიკური შედეგების შესახებ;
- აქვს შეხედულებები პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, რელიგიური ორგანიზაციების როლზე;
- შეუძლია თვითშეფასება.

შრომის ბაზრის მოთხოვნების და ეკონომიკის სწავლების საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მეორე სემესტრიდან ხდება პროგრამის მოდულებად დაყოფა და ცოდნის და უნარების გაღრმავება არჩეული მოდულის ფარგლებში, რაც დამსაქმებლებს საშუალებას მისცემს, არსებული კონკურენციის პირობებში მაღალკვალიფიციური კადრების სწორი შერჩევა

განახორციელოს. მაგისტრანტი შეთავაზებული 8 მოდულიდან ((1) თეორიული ეკონომიკა; (2) ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია; (3) საერთაშორისო ეკონომიკა; (4) ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია; (5) მაკროეკონომიკა; (6) ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; (7) ბიზნესის ეკონომიკა; (8) ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა) ირჩევს ერთ–ერთს. მოდულის კურსდამთავრებული, გარდა სამაგისტრო პროგრამის საერთო შედეგებისა, დამატებით მიიღებს შესაბამის დარგობრივ ცოდნას და უნარ–ჩვევებს.

დასაქმების სფეროები:

ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური, სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტები, ფონდები, დიპლომატიური სამსახურები და წარმომადგენლობები, კონსალტინგური ცენტრები, სახელმწიფო დაწესებულებები (პრეზიდენტის აპარატი, პარლამენტი, სამინისტროები), მუნიციპალური მართვის ორგანოები, სახელმწიფო და კერძო საკუთრების საერთაშორისო და ეროვნული ფირმები, საერთაშორისო ორგანიზაციები (გაეროს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ა. შ. სტრუქტურებში), საგანმანათლებლო დაწესებულებები და კვლევითი ინსტიტუტები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა მაგისტრებს საშუალებას აძლევს წარმატებით იმუშაონ ეკონომისტებად, კონსულტანტებად, ექსპერტებად, ანალიტიკოსებად და პროგნოზისტებად.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ეკონომიკისა და ბიზნესის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ეკონომიკა

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკა

პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29 ივნისი, 2011, დადგენილება #57

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011 წლის შემოდგომის სემესტრი

სასწავლო კურსები / მოდულები										
საფაკულტეტო სასწავლო კურსები / მოდულები										
#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინა-პირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი / პრაქტიკული				
1	მიკროეკონომიკა II	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ი. ნაცვლიშვილი
2	მაკროეკონომიკა II	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ნ. ხადური ნ. კაკულია მ. ჩიქობავა

3	ეკონომეტრიკა II	სავალდ. ბულო	5	60	2	2	65	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ი. ანანიაშვილი
4	საერთაშორისო ეკონომიკა II	სავალდ. ბულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ე. სეფაშვილი ნ. პაპაჩაშვილი ლ. ჯამაგიძე
5	ეკონომიკური პოლიტიკა II	სავალდ. ბულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	რ. გველესიანი ი. გოგორიშვილი
6	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	სავალდ. ბულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	I შემოდგომის	ს. გელაშვილი
სულ:			**30**							
1	კვლევითი პროექტი	სავალდ. ბულო	5	25			100	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	შესაბამისი მოდულის ლექტორები
2	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდ. ბულო	25	125			500	სამაგისტრო ნაშრომის არჩევის წინაპირობა: 80 კრედიტის დაგროვება (მათ შორის კვლევითი პროექტი); სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა: სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება.		შესაბამისი მოდულის ლექტორები
სულ:			**30**							

მაპროფილებელი სასწავლო კურსები/მოდულები

შენიშვნა: მაგისტრანტი ირჩევს ერთ–ერთ მოდულს (60 კრედიტი):

1. **თეორიული ეკონომიკა**
2. **ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია**
3. **საერთაშორისო ეკონომიკა**
4. **ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია**
5. **მაკროეკონომიკა**
6. **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა**
7. **ბიზნესის ეკონომიკა**
8. **ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა**

მოდული: თეორიული ეკონომიკა (1)

#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი / პრაქტიკული				
1	საქართველოს ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	2	1	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ვ. პაპავა
2	ეკონომიკური გლობალიზაციის თეორია	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. მექვაბიშვილი
3	ინსტიტუციური ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ი. ბალარჯიშვილი
4	ქცევის ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	მ. ნაცვალაძე
5	ეკონომიკის ფსიქოლოგია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ი. არჩვაძე
6	კეთილდღეობის ეკონომიკა II	არჩევითი	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	ი. გაგნიძე
7	ლიბერალური ეკონომიკის თეორია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	შ. ვეშაპიძე
8	თანამედროვე ეკონომიკური თეორიები	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ე. მექვაბიშვილი
9	ტრანსფორმაციული ეკონომიკსი	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	თ. ბერიძე
10	ახალი პოლიტიკური ეკონომია	სავალდებულო	5	45	1	2	80	ინსტიტუციური ეკონომიკა	III შემოდგომის	ი. ბალარჯიშვილი
11	ეკონომიკური საქმიანობა	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	პ. ლეიაშვილი
12	ინოვაციური განვითარების თეორია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ა. აბრალავა

13	ეკონომიკური დემოგრაფია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ი. არჩვაძე
14	დარგობრივი ბაზრების ეკონომიკის თეორია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	მ. ჭუმბურიძე
15	პრაქტიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ე. მექვაბიშვილი
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							

შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**

მოდული: ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორია (2)

#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	ეკონომიკური დოქტრინები	სავალდებულო	10	90	2	4	160	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. სილაგაძე
2	ეკონომიკის ისტორია	სავალდებულო	10	90	2	4	160	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. ცერცვაძე
3	მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	თ. ზუბიაშვილი
4	ევროკავშირის ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ა. სილაგაძე ე. სეფაშვილი ნ. პაპაჩაშვილი ლ. ჯამაგიძე
5	ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	შ. ვეშაპიძე
6	საქართველოს ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	2	1	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ვ. პაპავა

7	საერთაშორისო შრომითი მიგრაცია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	თ. ზუბიაშვილი
8	განვითარების ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ჯ. კახნიაშვილი
9	ნედლეულის ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. თვალჭრელიძე
10	გლობალური ფინანსები	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ლ. ბახტაძე
11	საერთაშორისო კონკურენცია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ე. სეფაშვილი
12	საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ს. გელაშვილი
13	პრაქტიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ა. სილაგაძე
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							
შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**										
მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა (3)										
#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	თ. ზუბიაშვილი
2	საერთაშორისო კონკურენცია	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. სეფაშვილი
3	ეკონომიკური დოქტრინები	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. სილაგაძე

4	ევროკავშირის ეკონომიკა	სავალდ ებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. სილაგაძე ე. სეფაშვილი ნ. პაპაჩაშვილი ლ. ჯამაგიძე
5	გლობალური ფინანსები	სავალდ ებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ლ. ბახტაძე
6	საერთაშორისო სასა-ქონლო და ფაქტორული ბაზრები	სავალდ ებულო	5	45	1	2	80	საერთაშორისო ეკონომიკა II	III შემოდგომის	ლ. ჯამაგიძე
7	საერთაშორისო შრომითი მიგრაცია	სავალდ ებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	თ. ზუბიაშვილი
8	ეროვნული ეკონომიკები მსოფლიო ბაზრებზე	სავალდ ებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ე. სეფაშვილი
9	საერთაშორისო ეკონომიკის მოდელირება	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	II გაზაფხულის	ლ. თოთლაძე
10	გლობალური ეკონომი-კური კრიზისები და მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი	არჩევითი	5	45	1	2	80	საერთაშორისო ეკონომიკა II	II გაზაფხულის	ე. სეფაშვილი
11	ნედლეულის ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. თვალჭრელიძე
12	განვითარების ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ჯ. კახნიაშვილი
13	საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ს. გელაშვილი
14	ტრანსფორმაციული ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ა. სილაგაძე ლ. ბახტაძე
15	თვისებრივი კვლევის მეთოდები	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ნ. პაპაჩაშვილი
16	ტნკ–ები და გლობალური სტრატეგიები	არჩევითი	5	45	1	2	80	საერთაშორისო ეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. პაპაჩაშვილი
17	საერთაშორისო ეკონო-მიკური პოლიტიკის ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ე. სეფაშვილი
18	საქართველოს ეკონომიკა	არჩევითი	5	45	2	1	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ვ. პაპავა

19	საერთაშორისო დავალიანების სისტემა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ლ. ბახტაძე
20	საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	საერთაშორისო ეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. პაპაჩაშვილი
21	პრაქტიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ა. სილაგაძე
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							
შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**										
მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია (4)										
#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	ეკონომიკური პოლიტიკის თეორია	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	II გაზაფხულის	რ. გველესიანი
2	ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	II გაზაფხულის	გ. ბედიანაშვილი ს. ფეტელავა
3	განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა	სავალდე ბულო	10	90	2	4	160	ეკონომიკური პოლიტიკა II	II გაზაფხულის	რ. გველესიანი
4	გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომი-კური პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	III შემოდგომის	ე. მექვაბიშვილი
5	რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	III შემოდგომის	ე. ხარაიშვილი გ. ექომაიშვილი
6	სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	III შემოდგომის	ლ. ხურცია

7	მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა	სავალდებულო	10	90	2	4	160	ეკონომიკური პოლიტიკა II	III შემოდგომის	რ. გველესიანი
8	შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	II გაზაფხულის	მ. ცარციძე
9	ფირმის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	II გაზაფხულის	გ. ექომაიშვილი
10	ეკონომიკური დიპლომატია	სავალდებულო	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	III შემოდგომის	რ. გველესიანი
11	საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	საერთაშორისო ეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. პაპაჩაშვილი
12	ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლი-ტიკა ევროინტეგრაციის გზაზე	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	III შემოდგომის	რ. გველესიანი, ე. ლეკაშვილი
13	პრაქტიკა	სავალდებულო	5					მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	რ. გველესიანი
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							
შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**										
მოდული: მაკროეკონომიკა (5)										
#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				

1	ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	ნ. ხადური ნ. კაკულია მ. ჩიქობავა
2	თანამედროვე მაკროეკო ნომიკური თეორიები	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. მექვაბიშვილი
3	ეკონომიკური ზრდის თეორიები	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	მ. ჩიქობავა
4	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. ხადური
5	ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. კაკულია
6	მაკროეკონომიკური პროგნოზირება და პროგრამირება	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. ხადური, ზვიად ზედგინიძე
7	შრომის ბაზრის ეკონომიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	მ. ცარციძე
8	მონეტარული მაკროეკონომიკა	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. ხადური
9	დროითი მწკრივების ანალიზი	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	II გაზაფხულის	ი. ანანიაშვილი
10	მაკროეკონომიკური მოდელირება	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II, მაკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	ნ. მიქიაშვილი
11	მაკროეკონომიკური სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	მ. მინდორაშვილი მ. მუჩიაშვილი ნ. ასლამაზიშვილი
12	ეკონომიკური პროგნო-ზირების მოდელები და მეთოდები	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ს. გელაშვილი
13	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ნ. მიქიაშვილი
14	ეკონომიკური სისტე-მების ოპტიმალური მართვის მოდელები და მეთოდები	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ა. არსენაშვილი

15	ეკონომიკური განვითარების თეორია	არჩევითი	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	რ. აბესაძე
16	პრაქტიკა	სავალდებულო	5					მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ნ. ხადური
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							

შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**

მოდული: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა (6)

#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ნ. აბესაძე, ნ. ასლამაზიშვილი
2	სტატისტიკური მეთოდები მარკეტინგულ კვლევებში	სავალდებულო	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ქ. მარშავა
3	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	ს. გელაშვილი, ქ. მარშავა ნ. ასლამაზიშვილი
4	დემოგრაფიული სტატისტიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	მ. ხმალაძე
5	ეკონომიკური პროცე-სების სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები	სავალდებულო	10	90	2	4	160	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ს. გელაშვილი

6	სოციალური სტატისტი-კის მეთოდოლოგია	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	ს. გელაშვილი, ზ. შონია
7	მონაცემთა სტატისტი-კური დამუშავება და ანალიზი SPSS-ში	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	ს. გელაშვილი ქ. მარშავა ნ. აბესაძე მ. მინდორაშვილი
8	ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	მ. მინდორაშვილი
9	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ს. გელაშვილი ნ. აბესაძე
10	გენდერული სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ს. გელაშვილი ლ. ჩარექიშვილი
11	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ნ. მიქიაშვილი
12	საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	ს. გელაშვილი
13	მიკროეკონომიკური სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	II გაზაფხულის	ქ. მარშავა მ. მინდორაშვილი
14	ეკონომიკური დოქტრინები	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. სილაგაძე
15	პრაქტიკა	სავალდე ბულო	5					მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ს. გელაშვილი
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							
შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**										

მოდული: ბიზნესის ეკონომიკა (7)										
#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	მენეჯერული ეკონომიკა II	სავალდებულო	10	90	2	4	160	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. ხარაიშვილი მ. ჩავლეიშვილი
2	ინდუსტრიული ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	მ. ნაცვალაძე
3	დანახარჯი-სარგებლის ანალიზი 1	სავალდებულო	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	ი. ნაცვლიშილი
4	აგრარული ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. ხარაიშვილი მ. ჩავლეიშვილი
5	საქართველოს ეკონომიკა	სავალდებულო	5	45	2	1	80	წინაპირობის გარეშე	III შემოდგომის	ვ. პაპავა
6	მიკროეკონომიკის თეორია და საჯარო პოლიტიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. კუტივაძე
7	დანახარჯი – სარგებლის ანალიზი 2	სავალდებულო	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ი. ნაცვლიშილი
8	მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა	არჩევითი	5	45	1	2	80	ეკონომიკური პოლიტიკა II	II გაზაფხულის	რ. გველესიანი
9	მიკროეკონომიკური სტატისტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	III შემოდგომის	ქ. მარშავა მ. მინდორაშვილი
10	ინოვაციური ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ა. აბრალავა
11	მიკროეკონომიკური მოდელირება	არჩევითი	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II, ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ნ. მიქიაშვილი
12	კეთილდღეობის ეკონომიკა II	სავალდებულო	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ი. გაგნიძე

13	ეკონომიკური დოქტრინები	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ა. სილაგაძე
14	ტნკ-ები და გლობალური სტრატეგიები	არჩევითი	5	45	1	2	80	საერთაშორისო ეკონომიკა II	II გაზაფხულის	ნ. პაპაჩაშვილი
15	ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია	არჩევითი	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ე. ხარაიშვილი მ. ჩავლეიშვილი
16	პრაქტიკა	სავალდებულო	5					მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ე. ხარაიშვილი
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60**							
შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**										
მოდული: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა (8)										
#	კურსის/მოდულის სახელწოდება	კურსის სტატუსი	ECTS კრედიტი	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/ მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)	ავტორი/ ავტორები
				სულ	ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				
1	მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის	სავალდებულო	5	45	1	2	80	წინაპირობის გარეშე	II გაზაფხულის	ო. ფურთუხია
2	მაკროეკონომიკური მოდელირება 1	სავალდებულო	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II ეკონომეტრიკა II	II გაზაფხულის	ი. ანანიაშვილი
3	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ნ. მიქიაშვილი
4	ფინანსური მათემატიკა	სავალდებულო	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	მ. ხუსკივაძე
5	დროითი მწკრივების ანალიზი	სავალდებულო	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	II გაზაფხულის	ი. ანანიაშვილი
6	ეკონომიკური სისტე-	სავალდ	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ა. არსენაშვილი

	მების ოპტიმალური მართვის მოდელები და მეთოდები	ბულო								
7	მიკროეკონომიკური მოდელირება 1	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II, ეკონომეტრიკა II	II გაზაფხულის	მ. ჯულაყიძე
8	პროგნოზირების მეთოდები და მოდელები	სავალდე ბულო	5	45	1	2	80	ეკონომეტრიკა II	III შემოდგომის	ლ. თოთლაძე
9	მონეტარული მაკროეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. ხადური
10	ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	III შემოდგომის	ნ. ხადური ნ. კაკულია მ. ჩიქობავა
11	მაკროეკონომიკური მოდელირება 2	არჩევითი	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკური მოდელირება 1	III შემოდგომის	ი. ანანიაშვილი
12	მიკროეკონომიკური მოდელირება 2	არჩევითი	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკური მოდელირება 1	III შემოდგომის	მ. ჯულაყიძე
13	მიკროეკონომიკის თეორია და საჯარო პოლიტიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	მიკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	ნ. კუტივაძე
14	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	არჩევითი	5	45	1	2	80	მაკროეკონომიკა II	II გაზაფხულის	ნ. ხადური
	პრაქტიკა	სავალდე ბულო	5					მოდულის სავალდებულო კურსების 30 კრედიტი	IV გაზაფხულის	ი. ანანიაშვილი
სულ:			**45 სავალდებულო + 15 არჩევითი = 60 კრედიტი**							

შენიშვნა: **მაგისტრანტი ირჩევს 15 კრედიტს. 5 კრედიტს – გაზაფხულის (II) სემესტრში, 10 კრედიტს – შემოდგომის (III) სემესტრში.**

პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;
მოდულისთვის სავალდებულო კურსები - სულ 45 კრედიტი, მ.შ. პრაქტიკა – 5 კრედიტი;
არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (თითოეული მოდულისთვის);
კვლევითი პროექტი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 5 კრედიტი;
სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი

სულ: 120

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

<u>მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის თემატიკა და საკითხები</u>

<u>„ეკონომიკის პრინციპებში“</u>

თავი 1. ეკონომიკის ათი პრინციპი, გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 3-15

1. ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.
2. ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს.
3. ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება ეკონომიკას, როგორც ერთიან სისტემას.

თავი 2. ეკონომიკური აზროვნება, გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 19-34.

1. ეკონომიკური აზროვნება - ეკონომისტების, როგორც მეცნიერებისა შეხედულებები სამყაროზე (ეკონომიკური მოდელები).
2. ეკონომიკური აზროვნება - ეკონომისტების, როგორც პილიტიკოსების შეხედულებები (პოზოტიური და ნორმატიული ანალიზი, მაკროეკონომიკა და მიკროეკონომიკა).

თავი 3. ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობიდან მიღებული მოგება, გრ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, გვ. 47-59.

1. აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი, ურთიერთდამოკიდებულება და ვაჭრობის სარგებლობა.
2. შედარებითი უპირატესობის პრინციპი, ალტერნატიული დანახარჯები და შედარებითი უპირატესობა.

თავი 4. მოთხოვნა და მიწოდება ინდივიდუალურ ბაზარზე, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. “დიოგენე”, 2008. გვ. 63-82.

1. მოთხოვნის მრუდი, ინდივიდუალური და საბაზრო მოთხოვნა, მოთხოვნის მრუდის გადაადგილებები;
2. მიწოდების მრუდი, ინდივიდუალური და საბაზრო მიწოდება, მიწოდების მრუდის გადაადგილებები;
3. მიწოდება და მოთხოვნა ერთად, წონასწორობის ცვლილების ანალიზის სამი საფეხური, მრუდების ერთდროული გადაადგილებები.

თავი 5. ელასტიკურობა და მისი გამოყენება, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, “დიოგენე”, 2008. გვ. 87-106.

1. მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით და მისი დეტერმინანტები, ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის გამოთვლის ორი მეთოდი;
2. მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით, მოთხოვნის მრუდის სხვადასხვა სახეობები; მთლიანი შემოსავალის გაანგარიშება, ელასტიკურობა და მთლიანი შემოსავალის ცვლილება წრფივი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ;
3. მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით და მისი დეტერმინანტები, მიწოდების ელასტიკურობის გამოთვლა ფასის მიხედვით;
4. მიწოდების ელასტიკურობა ფასის მიხედვით, მიწოდების მრუდის სხვადასხვა სახეობები;

თავი 6. მიწოდება, მოთხოვნა და სამთავრობო პოლიტიკა, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 111-127.

1. როგორ მოქმედებს ფასის ზედა ზღვარი ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
2. როგორ მოქმედებს ფასის ქვედა ზღვარი ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
3. როგორ მოქმედებს მყიდველთა დაბეგვრა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
4. როგორ მოქმედებს გამყიდველთა დაბეგვრა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე;
5. ელასტიკურობა და გადასახადების გადაკისრება;

თავი 7. მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრის ეფექტიანობა, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 135-150.

1. სამომხმარებლო დანაზოგი და მოთხოვნის მრუდის გამოყენება სამომხმარებლო დანაზოგის გამოსათვლელად;
2. მწარმოებლის დანაზოგი და მიწოდების მრუდის გამოყენება მწარმოებლის დანაზოგის გამოსათვლელად;
3. ფასის ცვლილების შედეგები სამომხმარებლო და მწარმოებლის დანაზოგებზე. ბაზრის წონასწორობის შეფასება ბაზრის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

თავი 8. თეორიის პრაქტიკული გამოყენება: დაბეგვრის დანახარჯები, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 135-150

1. როგორ მოქმედებს გადასახადი ბაზრის მონაწილეებზე, საერთო დანაკარგები;
2. საერთო დანაკარგები და საგადასახადო შემოსავლები გადასახადების ცვლილებისას;

თავი 9. თეორიის პრაქტიკული გამოყენება: საერთაშორისო ვაჭრობა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 171-189

1. ვაჭრობის დეტერმინანტები, მსოფლიო ფასი და შედარებითი უპირატესობა;
2. ექსპირტიორი და იმპორტიორი ქვეყნების სარგებლობა და დანაკარგები;
3. ტარიფის ეფექტი და მასთან დაკავშირებული სავაჭრო პოლიტიკა;
4. ვაჭრობის შეზღუდვის არგუმენტები;

თავი 13. წარმოების დანახარჯები და მოგება, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 255-269.

1. ეკონომიკური და საბუღალტრო მოგება;
2. საწარმოო ფუნქცია და შრომის ზღვრული პროდუქტი;
3. მუდმივი, ცვალებადი, საშუალო და ზღვრული დანახარჯები და მათი მრუდები;

4. მასშტაბის ეკონომიურობა, არაეკონომიურობა და მუდმივი ეფექტი;

თავი 14. ფირმები კონკურენტულ ბაზრებზე, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 255-269.

1. კონკურენტული ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები. სრულყოფილად კონკურენტული ფირმის მოთხოვნის მრუდი, საშუალო მთლიანი და საშუალო ცვალებადი დანახარჯთა მრუდები, ზღვრული დანახარჯები და მრუდი;
2. მოგების მაქსიმიზაცია და კონკურენტული ფირმის მიწოდების მრუდი მოკლევადიან პერიოდში;
3. მოგება და კონკურენტული ფირმის მიწოდების მრუდი გრძელვადიან პერიოდში;
4. კონკურენტული ფირმის გადაწყვეტილება მოკლევადიან პერიოდში წარმოების შეწყვეტის შესახებ;
5. ფირმის გადაწყვეტილება დარგიდან გასვლისა და დარგში შესვლის შესახებ გრძელვადიან პერიოდში;
6. კონკურენტული ფირმის მოგების გამოთვლა გრაფიკის საშუალებით.

თავი 15. მონოპოლია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 297-322.

1. მონოპოლიის გაჩენის მიზეზები, ბუნებრივი მონოპოლიები;
2. მონოპოლიების გადაწყვეტილება წარმოების და ფასდადების შესახებ;
3. მონოპოლიის გავლენა კეთილდღეობაზე;
4. სახელმწიფო პოლიტიკა მონოპოლიებთან მიმართებაში;

თავი 16. ოლიგოპოლია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 329-349.

1. ოლიგოპოლიური ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები. დუოპოლიის მაგალითი. კონკურენცია, მონოპოლიები და კარტელი.
2. წონასწორობა ოლიგოპოლიისთვის. ოლიგოპოლიის ზომის ცვლილების შედეგები ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.
3. თამაშთა თეორია და თანამშრომლობის ეკონომიკა - ,,პატიმართა დილემა";
4. სახელმწიფო პოლიტიკა ოლიგოპოლიებთან მიმართებაში;

თავი 17. მონოპოლისტური კონკურენცია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 355-368.

1. მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები. მონოპოლისტური კონკურენციის ფირმები მოკლევადიან პერიოდში;
2. მონოპოლისტური კონკურენციის ფირმები გრძელვადიან პერიოდში, საწარმოო სიმძლავრეთა სიჭარბე;
3. მონოპოლისტური კონკურენციისა და სრულყოფილად კონკურენტული ფირმის შედარება;

თავი 18. წარმოების ფაქტორთა ბაზრები, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 373-390.

1. საწარმოო ფუნქცია და შრომის ზღვრული პროდუქტი, ზღვრული პროდუქტის ღირებულება და შრომაზე მოთხოვნა.
2. შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების მრუდების გადაადგილებები;

3. წონასწორობა მიწისა და კაპიტალის ბაზარზე;

თავი 21. მომხმარებელთა არჩევანის თეორია, გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, "დიოგენე", 2008. გვ. 435-457.

1. საბიუჯეტო შეზღუდვა, ფარდობითი ფასები;
2. უპირატესობების ასახვა განურჩევლობის მრუდების მიხედვით;
3. მომხმარებლის ოპტიმალური არჩევანი;
4. როგორ მოქმედებს მომხამრებლის შემოსავლის ცვლილება მომხმარებლის არჩევანზე;
5. როგორ მოქმედებს ფასის ცვლილება მომხმარებლის არჩევანზე;

თავი 23. ეროვნული შემოსავლის გამოთვლა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 483-501.

1. მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა და კომპონენტები;
2. რეალური მშპ და ნომინალური მშპ, მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი;
3. მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი;

თავი 24. ცხოვრების ღირებულების გამოთვლა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 503-517.

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოთვლა, ცხოვრების ღირებულების გამოთვლისას წარმოქმნილი პრობლემები, მშპ დეფლატორის და სამომხმარებლო ფასების ინდექსის შედარება;
2. ეკონომიკური ცვლადების კორექცია ინფლაციის ეფექტების გათვალისწინებით: ფული დროის სხვადასხვა ინტერვალებში, ინდექსაცია, სარგებლის ნომინალური და რეალური განაკვეთები;

თავი 25. წარმოება და ეკონომიკური ზრდა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 519-544.

1. ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მწარმოებლურობა და მისი დეტერმინანტები;
2. დანაზოგებისა და ინვესტიციების მნიშვნელობა, კლებადი უკუგება და მკვეთრი ზრდის ეფექტი;
3. უცხოური ინვესტიციების, განათლების, საკუთრების უფლებების დაცვისა და პოლიტიკური სტაბილურობის როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის;
4. თავისუფალი ვაჭრობის, მეცნიერული კვლევების განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის კონტროლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის;

თავი 26. დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 545-563.

1. ფინანსური ბაზრები და ფინანსური შუამავლები. ფინანსური ბაზრების განვითარების მნიშვნელობა.

2. დანაზოგები და ინვესტიციები ეროვნული შემოსავლის ანგარიშებზე. დანაზოგებისა და ინვესტიციების არსი.
3. გადასახადების ცვლილების გავლენა დანაზოგებზე და სასესხო კაპიტალის ბაზარზე;
4. გადასახადების ცვლილების გავლენა ინვესტიციებზე და სასესხო კაპიტალის ბაზარზე;
5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გავლენა სასესხო კაპიტალის ბაზარზე.

თავი 28. უმუშევრობა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 581- 604.

1. უმუშევრობის განსაზღვრა და გამოთვლა. უმუშევრობის სახეები: ციკლური, ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა;
2. უმუშევრობის მიზეზები: მინიმალური ხელფასის კანონი და პროფკავშირების ეკონომიკა;
3. უმუშევრობის მიზეზები: ეფექტიანი ხელფასის თეორია - მშრომელთა ჯანმრთელობა, დენადობა, კვალიფიკაცია და ძალისხმევა;

თავი 29. მონეტარული სისტემა, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 609-626.

1. ფულის მნიშვნელობა, ფულის ფუნქციები და ფულის სახეობები; ბანკები და ფულის მიწოდება.
2. ფედერალური სარეზერვო სისტემის ფინანსური ინსტრუმენტები მონეტარული კონტროლისათვის. ფულის მიწოდების კონტროლისას წარმოქმნილი პრობლემები;

თავი 30. ფულის მასის ზრდა და ინფლაცია, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 629-653.

1. ინფლაციის კლასიკური თეორია: ფასების დონე და ფულის ღირებულება - ფულის ბაზარი.
2. კლასიკური დიქოტომია და მონეტარული ნეიტრალიტეტი, ფულის ბრუნვის სიჩქარე და რაოდენობრივი განტოლება. ინფლაციის გადასახადი და ფიშერის ეფექტი;

თავი 31. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა: ძირითადი ცნებები, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 657-677.

1. საქონლისა და ფინანსური რესურსების საერთაშორისო ნაკადები - ექსპორტი, იმპორტი, წმინდა ექსპორტი, კაპიტალის გადინება, შემოდინება და კაპიტალის წმინდა გადინება.
2. ნომინალური და რეალური სავალუტო კურსები, რეალური სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა ექსპორტზე;
3. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია.

თავი 32. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური თეორია, გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე", 2008; გვ: 679-697.

1. სასეხხო კაპიტალისა და უცხოური ვალუტის გაცვლის ბაზარი. კაპიტალის წმინდა გადინება: კავშირი ორ ბაზარს შორის და ერთდროული წონასწორობა.
2. სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის გავლენა ღია ეკონომიკაზე;

3. სავაჭრო პოლიტიკის ცვლილების გავლენა ღია ეკონომიკაზე;
4. ,,კაპიტალის გაფრენა“ პოლიტიკური არასტაბილურობის დროს და მისი გავლენა ღია ეკონომიკაზე;

თავი 33. **ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება,** გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე”, 2008; გვ: 701-738.

1. ეკონომიკური რყევების სამი ძირითადი ფაქტი.
2. მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევები: ერთობლივი მოთხოვნის მრუდის კლებადობის მიზეზები და მისი გადაადგილებები;
3. მოკლევადიანი პერიოდის ეკონომიკური რყევები: ერთობლივი მიწოდების მრუდის ზრდადობის მიზეზები და მისი გადაადგილებები;
4. გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი და მისი გადაადგილებები;
5. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების გამოყენება გრძელვადიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის ასახვისათვის;
6. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების გადაადგილების შედეგები.

თავი 34. **მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე,** გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც: ,,დიოგენე”, 2008; გვ: 739- 760.

1. მონეტარული პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე (ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია, ფულის მიწოდების ცვლილებები და სარგებლის განაკვეთი);
2. ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე (სახელმწიფო შესყიდვების გავლენა, მულტიპლიკატორის ეფექტი, დანახარჯების მულტიპლიკატორის ფორმულა, გამოდევნის ეფექტი);

ეკონომიკის პრინციპების კათედრა

ბილეთი შედგება 5 საკითხისგან. სამი საკითხი იქნება მიკროეკონომიკიდან, ორი საკითხი მაკროეკონომიკიდან.

თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების ქულაა 20. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება საკითხის გადმოცემის სიზუსტე (8 ქულა), ლოგიკური აზროვნების უნარი (4 ქულა), გადმოცემის სტილი (2 ქულა), მაგალითების მოყვანა და გრაფიკული ანალიზი (საჭიროების შემთხვევაში) (6 ქულა)